#380 2014 წლის 27 ოქტომბერი ქ. თბილისი

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე „ვალერი ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“ 2014 წლის 27 მაისს გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადის დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს 5 625 (ხუთი ათას ექვსას ოცდახუთი) ევროს ეკვივალენტი ლარი.

ირაკლი ღარიბაშვილი